

Maka Jokhadze

მაკა ჯოხაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Satire Written in Internal Emigration

(Levan Bolkvadze's „The Story of a Boy Who Found Himself in a Fairy Tale“)

შიდაემიგრაციაში დაწერილი სატირა

(ლევან ბოლქვაძის „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“)

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10849>

Levan Bolkvadze authored a single work, „The Story of a Boy Who Found Himself in a Fairy Tale“, a political pamphlet against the Soviet totalitarian regime. The circumstances surrounding its composition and publication are particularly fascinating, demonstrating that time remains the most objective evaluator of literary processes. Through temporal perspective, characters emerge in sharp relief. Time serves as the primary symbolic-allegorical character, depicted as captured and bound. The work presents the "celebrations" of ignorance in King Chigidi's state, paradoxical figures born from fear, idyllic traps set by officials for citizens, and courses for studying goodness and „shame-honor restoration“.

Keywords: Internal emigration, Levan Bolkvadze, literary fairy tale

საკვანძო სიტყვები: შიდა ემიგრაცია, ლევან ბოლქვაძე, ლიტერატურული ზღაპარი

ლევან ბოლქვაძე – ეს სახელი და გვარი დღევანდელი მკითხველისათვის თითქმის არაფრის-მთქმელია. უფრო მეტიც, თვით მისი თაობის ხალხიც კი არ იცნობდა მას, როგორც მწერალს. სამაგიეროდ, იცნობდნენ როგორც ენციკლოპედიური განათლების მქონე დიდ ერუდიტს (სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ენციკლოპედიაში მუშაობდა, სადაც დღეს მისი სახელობის კაბინეტია გახსნილი და ენციკლოპედიის ბიბლიოთეკაც მისი სახელობისა). მრავალმხრივი ადამიანი იყო, არაჩვეულებრივი იუმორის მქონე, იშვიათი ხმის ტემბრი ჰქონდა და ამ ტენორმა ზეპირად იცოდა თითქმის მთელი საოპერო კლასიკა. მახსოვს, წლების წინათ შვილისთვის საბავშვო ლიტერატურას ვეძებდი მაღაზიებში. ჩემი ყურადღება ერთმა შავყდიანმა წიგნმა მიიქცია, რომელზედაც ბაროკოს სტილის არქიტექტურული ნაგებობა იყო გამოხატული. თეთრად ანათებდა სათაური: „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი უცნობი ავტორისა იყო, მიმიზიდა ავტორის მიერვე დაწერილმა ანოტაციამ.

კარგა მოზრდილი სადიდო ზღაპარი სულმოუთქმელად წავიკითხე და უჩვეულო მწერალი აღმოვაჩინე. იმხანად ანზორ აბულაშვილს ნათხოვნი ჰქონდა, რაიმე დამეწერა მისი რედაქტორობით გამომავალ აღმანახ „ჯეჯილისათვის“. თხოვნა შეეუსრულე და ამ წიგნზე ჩემი გამოხმაურება მივუტანე. კრიტიკა დუმდა...

მალე ლევან ბოლქვაძე გავიცანი. გაცნობისთანავე მაღლიერების გრძნობა იშვიათი სიფაქიზითა და ტაქტით გამოხატა. როცა გავიგე, რომ ეს მისი ერთადერთი წიგნი იყო, გაოგნებულმა

ვკითხე – კი, მაგრამ, როგორ მოითმინეთ, როგორ არ დაწერეთ ბევრი, ბევრი წიგნი?! „ბევრი, ბევრი წიგნი“... – ღიმილით გაიმეორა და რაღაცნაირი სევდიანი იუმორით მიპასუხა: `ეს წიგნი წლების განმავლობაში მედო საწერი მაგიდის უჯრაში... ჭერი თავზე გვექცეოდა, რემონტი რომ არ მქონოდა ბინაში გასაკეთებელი, კიდევ კარგახანს ვერ იხილავდა დღის სინათლეს...“ მას, რა თქმა უნდა, არ უხსენებია სიტყვა შიდაემიგრაცია, მაგრამ ეს სწორედ შიდაემიგრაციაში დაწერილი წიგნი იყო. ...და ეს იყო აბსოლუტურად გულწრფელი პასუხი პიროვნებისა, ვინც ზედმიწევნით ღრმად იცოდა დიდი ლიტერატურის ფასი და არასოდეს (ან ვერასოდეს) მისცემდა თავს უფლებას, მწერალი დარქმეოდა. წიგნი სასწრაფოდ წავაკითხე ქართული ლიტერატურის ცნობილ მთარგმნელს, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორ აიდა აბუაშვილს. მისი მხრიდან დიდი იყო მცდელობა, წიგნი რუსულად გამოსულიყო. გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიის“ ექსპერტ-რედაქტორები გაცეზულნი აღმოჩნდნენ. უთქვამთ, ბრწყინვალე წიგნია, მაგრამ ამ პოლიტიკური პამფლეტის რუსეთში გამოცემაზე ოცნებაც წარმოუდგენელიაო, ისიც გვიკვირს, ან თქვენთან როგორ გაბედესო. ეს რისკი გამომცემლობა „ნაკადულის“ მაშინდელი დირექტორის, არჩილ სულაკაურის სახელთანაცაა დაკავშირებული. საბავშვო გამომცემლობის წყალობითაც წიგნის ნამდვილი არსი კარგად ინიღბებოდა.

ადამიანებისა არ იყოს, წიგნებსაც თავიანთი ბედი აქვთ. ზოგს სიჩუმით კლავენ, ზოგს ხმაურით... ლევან ბოლქვაძე რომ, როგორც პოლიტპატიმარი, გულაგში იხდიდა ხანგრძლივ სასჯელს, ეს მოგვიანებით გავიგე, მისი გარდაცვალების შემდეგ, როცა ჭადრაკის ძველ სასახლეში ის-ისაა დაარსებულმა საზოგადოება „თბილისელმა“ ბინა დაიდო და მისი თავკაცის, დავით (ციცკა) ციციშვილის თაოსნობით ლევან ბოლქვაძის მოსაგონარი საღამო გაიმართა. ამ საღამოზე მე მწერლის მეუღლემ, რუსული ლიტერატურის შესანიშნავმა მცოდნემ, ქალბატონმა გულიკო ბოლქვაძემ მიმიწვია. მეგობრები, ახლობლები, კოლეგები დიდი სიყვარულით იგონებდნენ ლევანს. მახსოვს, კოტე ჩოლოყაშვილის მეტად შთამბეჭდავი გამოსვლა. იქვე აღმოვაჩინე, რომ ბიოგრაფიაც ნამდვილი მწერლის შესატყვისი ჰქონდა. ეტაპით მგზავრობისას ლევანით მოხიბლულ ერთ ჭკვიან, წინდახედულ ექიმს უთქვამს: ...და მაინც, ჰუმანიტარი ხარ... რაიმე ნამდვილი პროფესია თუ არ გიჭირავს ხელში, იქ ვერ გაძლებ, დაიჩაგრებიო. ლევანმა ეტყობა ეს რჩევად მიიღო და მატარებელში დაემოწაფა ექიმს. ლათინურად არსებული მთელი ფარმაცოლოგიური სამყარო ეტაპით მგზავრობისას აითვისა და ზონაში ჩასულს, უკვე თავისუფლად შეეძლო თავი, როგორც „ფერშალი“, ისე წარმოედგინა. ასეც მოხდა, გადასახლებაში იგი სწორედ ამ პროფილით მუშაობდა. საოცარი ინტუიციის წყალობით, შეუმცდარ დიაგნოზებს სვამდა და შესატყვის წამლებსაც (მიქსტურებსაც) წერდა. წლების განმავლობაში სოლჟენიცინთან ერთად იჯდა საკანში, სხვათა შორის, ლევან ბოლქვაძემ სიკვდილს გადაარჩინა მძიმედ დაავადებული მწერალი. სოლჟენიცინი ქართველებს რატომღაც ნაკლებად სწყალობდა... ერთხელ ლევანისთვის როგორღაც უთქვამს: – თქვენს ხალხს მომავალი არა აქვსო და ამაზე საკმაოდ მკაცრი, მაგრამ ზედმიწევნით არგუმენტირებული, ხანგრძლივი პასუხიც მიუღია რუს მწერალს... ვინ იცის, იქნებ ეს ინციდენტიც იყო მიზეზი იმისა, რომ რომანში ქართველი ფერშალი ჩეჩნად მონათლა. თუმცა რას წარმოიდგენდა რუსეთის სინდისად აღიარებული სოლჟენიცინი მაშინ, რომ მოგვიანებით, მისი „დემოკრატიული“ სამშობლო, ჩეჩენ ხალხს ნამდვილ გენოციდს მოუწყობდა.

ამ ისტორიამ ბრწყინვალე რუსი მწერალი ვარლამ შალამოვი გამახსენა, რომელმაც თავის თავის სულისშემძვრელ წიგნში „კოლიმური მოთხრობები“ საოცარი სიცხადითა და სიყვარულით დახატა ერთი დიდებული ქართველი ექიმის პორტრეტი და მოთხრობას ალექსანდრე ლოლობერიძე დაარქვა. სხვათა შორის, შალამოვმა, სოლჟენიცინს თხოვნაზე, ერთობლივად დაეწერათ წიგნი გულაგზე, უარი უთხრა. აი, რას წერს წინათქმაში ამის შესახებ „კოლიმური მოთხრობების“ შესანიშნავი მთარგმნელი თამაზ ნატროშვილი: „*მომავალი ლაურიატი ნობელის პრემიისა, თავისი უმთავრესი წიგნის შექმნას შალამოვთან ერთად აპირებდა! თავის თავზე უზომოდ შეყვარებულ მწერალს შალამოვის თანავტორობა ეწადა*“ (ნატროშვილი, 2021, გვ. 7). როგორც ადამიანს, ისე წიგნსაც თავისი ბედი აქვს... მახსოვს ლევან ბოლქვაძის ზღაპრით მოგვრილი სიხარული, რომელიც ზეიმურობასთან იყო წილნაყარი. ეს ზეიმი დაახლოებით იმას ჰგავდა, „კავკასიურმა ცარცის წრემ“ რომ

შემოიტანა მაშინდელ თბილისში. ვინ იცის, მერე რამდენი ბრწყინვალე დადგმა განხორციელდა ქართულ სცენაზე, მაგრამ „კავკასიური“ მაინც სხვა იყო. რაღაცით ვეება ბენგალურ ჩირაღდანს მოგაგონებდათ, მთელი სპექტაკლის განმავლობაში სიხარულის სევდიან ნაპერწკლებს შუშხუნით რომ ყრიდა დარბაზში. ეს იყო მძაფრი ზეიმი, როცა სამართალი თავანკარა თუ ამღვრეულ ინსტინქტთა ზვირთებში ეხეთქებოდა და აწყდებოდა კლდესავით უმკაცრეს სპექტაკლს – ცხოვრებას. ცხოვრების ჭუჭყი და ქაფი კი დიდ შემოქმედს მაღალი ხელოვნების რანგში აჰყავდა. „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“ – წიგნი-სპექტაკლი, წიგნი-მუსიკა, წიგნი-ნახატი, წიგნი-ზეიმი. ზღაპრული ფანტაზიით შენიღბული რეალობის ფოიერვერკი, რომელმაც ასე მშვიდად, ღირსეულად გაუძლო დროს, უფრო მეტიც, განსაცვიფრებლად აქტუალური აღმოჩნდა დღევანდელი საქართველოსათვის.

დრომ თითქოს კი არ გააფერმკრთალა, პირიქით, გაამძაფრა ფერები და ახლა თავიდან წარმოაჩინა ლევან ბოლქვაძის მიერ დახატული ფსიქოლოგიური პორტრეტები. იქნება ეს სენიორ დიგჩის ბუნება, საკუთარი კარიერის გადასარჩენად ერთ წამში მზაკვრულად რომ გაიმეტა უერთგულესი მსახური და მეგობარი თუ მუმიადქცეული მოხუცი სენ-სენ-ვის ენციკლოპედიური და გამოუსადეგარი ცოდნა, რომლის უნიკალურ ბიბლიოთეკაშიც ათასი სიბრძნეა გადამალული და მაინც მის ბუნებაში „უსარგებლო წიგნი მიცვალებულივით ესვენა მაგიდაზე“. ანდა გულუბრყვილო პროფესორ კომპოტინის პორტრეტი რად ღირს, სასახლის მსახურთათვის, ჩინოვნიკებისა და მინისტრებისათვის „სიკეთის შემსწავლელ კურსებს“ რომ ხსნის და მის კაბინეტს ასეთი წარწერა ამშვენებს: „სირცხვილ-ნამუსის რესტავრაცია“ და ა. შ. ქალაქში ჩვეულებრივად მიმავალი დროის დატყვევება გადაწყვიტეს, ხელ-ფეხი გაუკრეს და უნიჭიერესი ოსტატის პაპა პიეტროს მიერ შექმნილ საათში დაამწყვდიეს. ასე იქცა დატყვევებული დრო `ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის` მთავარ პერსონაჟად. მეფე ჩიგიდმა უკვდავება მოინდომა და ამ უკვდავების მოსაპოვებლად ისეთი უხიფათო, უშრომელი, უმოკლესი გზა მოძებნა, როგორცაა დროის დატუსაღება. დრო მან საკუთარი არსებობის, საკუთარი შესაძლებლობების ყველაზე დიდ მტრად მიიღო (იმიტომ, რომ მწირი იყო ეს შესაძლებლობები). ლევან ბოლქვაძის ზღაპარში ულამაზეს ჰანგად იღვრება მესაათე ბაზილის სურვილი: „დროზე დიდი დღესასწაული ამქვეყნად არ არსებობს. მეორე სასწაული კი ის არის, რომ ადამიანმა დროის აწყვა ისწავლა. მე დროის საწყაოს ვაკეთებ და თუ დრო სასწაულია, მისი საწყაო ისეთი უნდა იყოს, რომ ღამეს უხაროდეს გათენება, დილა კი მხიარულად მიბაკუნობდეს საღამოსაკენ“ (ბოლქვაძე, 2014, გვ. 39). მაგრამ უხაროდა ღამეს გათენება მეფე ჩიგიდის სახელმწიფოში? სიხარული ყველაზე დიდი კონტრაბანდა იყო ამ ქალაქში, საშიში ვირუსი, რომლის ფეთქებადი სხეული მოულოდნელად, უდროოდ დროს ისროდა ხოლმე იმედის ნაპერწკლებს. ამის მშვენიერი, პოეტური დადასტურებაა ჭაბუკას გამოჩენა საშაქარლამოში და ცუკერმანისტერის აღფრთოვანებული შეძახილი: „ვაშა, ბისკვიტი ამოვიდა!“ (სასახლის კარზე უკვე მერამდენე წელია ბისკვიტი თითქოს ბოიკოტს აცხადებდა და აღარ ცხვებოდა ტორტი). შემდგომ ასევე ემართებათ მოწყენილ, სიკვდილის პირამდე მისულ დამჭკნარ ყვავილებსაც. საკმარისია ჭაბუკას ხელის შეხება და ისინი წამსვე ცოცხლდებიან, ფერზე მოდიან. ავტორიც ამით იმას გვეუბნება, რომ ისეთ მშვენიერებასა და სილამაზეს, როგორცაა ყვავილი, მხოლოდ და მხოლოდ მსგავსსავე მშვენიერ, უანგარო და მართალ ატმოსფეროში შეუძლია გახარება. „ლამაზ ქალაქელთა“ ურთიერთობებში კი განმსაზღვრელი და უმთავრესია სიცრუე, რომელიც იმდენად ორგანული, შესისხლხორცებული გამხდარა ქალაქისათვის, ცოტა ძნელიც კია დღესდღეობით ჩვეულებრივი სახელი – ნიღაბი ვუწოდო მას. როგორც ანდერსენმა თავის ზღაპარში გაამასხარავა ის ე. წ. არისტოკრატიული სამყარო, ელიტა, რომლის თითოეული წევრი, პრივილეგიების დაკარგვის შიშით, კურიოზულ მდგომარეობაში რომ იგდებდა თავს, შიშველ მეფეს ტანსაცმელს უქებდა და ზოგი მათგანი განსაკუთრებული მონდომებითაც კი საუბრობდა არარსებული სამოსის ძვირფას ხარისხზე, ასევე ლევან ბოლქვაძემ იგივე სარკაზმი მოიშველია, როცა იმავე საზოგადოებას, იმავე „ელიტას“ დასცინა:

„– მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, მიხაკს ნივრის სუნი აქვსო.

– რა თავისებური შეგრძნებაა!

– რა დიდებული შედარებაა.

– მისი უდიდებულესობა მიიჩნევს, რომ ტერცია დისონანსია.

– რა თავისებური სმენაა!

– რა დახვეწილი გემოვნებაა!“ (ბოლქვაძე, 2014, გვ. 51)

ქართველმა მწერალმა უფრო გააყოფითა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო დააქუცმაცა, გააპროზაულა ეს დამოკიდებულებები და გვითხრა, რომ ჩიგიდის ქვეყანაში (რომ არაფერი ვთქვათ ე. წ. მეექვსე გრძნობაზე) განადგურებული და დამახინჯებულია ის ელემენტარული ხუთი გრძნობაც კი, რომელიც ცხოველებშიც ასე მძაფრადაა განვითარებული და რომელიც ნებისმიერი ასაკისა და სოციალური წარმოშობის ადამიანებს ასე აერთიანებს და აახლოებს.

რა არის ამ სიმახინჯისა და მორჩილების უმთავრესი მიზეზი? მხოლოდ და მხოლოდ სხეულზე ფიქრი, ისევ და ისევ ამქვეყნიური სიამით რაც შეიძლება მეტხანს ტკბობა და ყოველივე ამის დაკარგვის შიში. უაღრესად არაორდინარულია ლევან ბოლქვაძისეული ხედვა. მასთან არა მხოლოდ სიტუაციები, მოვლენები, ფაქტები და პერსონაჟებია ალეგორიული, არამედ თავად მხატვრული წარმოსახვის უნარი, აზროვნების სტილი. ასე მაგალითად: ადამიანური ღირსებებით კი არ წარმოაჩენს, არამედ ისეთი ჰიპერბოლური გააზრებით, როგორცაა მეფის ნება-სურვილზე დამოკიდებული ამინდი. საკუთარი მონოპოლიის განსამტკიცებლად მეფე ჩიგიდის მცდელობათა ზღვარმა უგუნურების იმ ზენიტს მიაღწია, რომლითაც თვით ბუნების დათრგუნვა და ხელყოფა მოიწადინა. უძლეველობის სურვილი იმდენად ავადმყოფურად გაუმძაფრდა მეფეს, რომ მან წლის ოთხი დროის, ოთხი ციკლის მონაცვლეობა საკუთარ განწყობილებებს შეუფარდა და შუა ზაფხულში თოვლიანი ამინდები გამოაცხადა. ეს კურიოზი დატყვევებული დროის, დამსხვრეული საათების შედეგია. ამგვარი ძალდატანებით დამონებულმა ხალხმა მეფეს სრული ილუზია შეუქმნა იმისა, რომ ყოველივე მას მორჩილდება და იგი არა მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოსა და ხალხის განმგებელია, არამედ თვით ბუნებისაც კი. საკმარისია მისი განკარგულება და: „ნახევარი საათის შემდეგ ბუხარში ცეცხლი დაანთეს, გაზაფხულის ჩახჩახა მზით განათებულ ქუჩებში თბილად, ქურქებში გამოწყობილი ხალხი გამოჩნდა, გოგო-ბიჭები სიცილ-კისკისით მოედგნენ ქუჩებს, ციგურებით „სრიალებდნენ“, გუნდაობდნენ“ (ბოლქვაძე 2014, გვ. 30). ღრმა მხატვრული სიმართლითაა დახატული იმ რიგითი ხალხის წრიდან გამოსული ადამიანების ფსიქოლოგიური სახეები, რომლებიც შიშმა ისე დააბეჩავა, რომ სიცრუის ექსტაზში შესულნი იმუდარებიან: „ერთგან ქვრივი ქალი ჭიშკარზე მიმდგარიყო და გამვლე-გამომვლელს ეხვეწებოდა: მიშველეთ, სახლი გადმოშითოვლეთ, თავზე დამენგრევა და ობლები მომესპობიანო“ (ბოლქვაძე 2014, გვ. 30-31).

ლევან ბოლქვაძის, როგორც მწერლის (მეზღაპრის) სასახელოდ ისიც შეიძლება ითქვას, რომ ხალხის მძიმე მდგომარეობის ახსნისას, მისი მიზეზების წარმოჩენისას, არასოდეს არაა ტენდენციური, ცალმხრივი, ბანალური და გულუბრყვილო. მიუხედავად იმისა, რომ მისი სიმპათიები, უბრალო წრიდან გამოსული ადამიანებისადმი აშკარაა, იგი მაინც ფხიზლად ადევნებს თვალს მათი ცხოვრების წესს, მათ ყოფას, მათ ხასიათებს და ხშირად გამოაქვს მართალი და მკაცრი დასკვნები. ცუდი პირობების გამო, მათი ტანჯვისა და განსაცდელის გამო, მწერალი არა მხოლოდ მეფე ჩიგიდის მოხელეებს ადანაშაულებს, არა მხოლოდ პოლიციელებს, ე. წ. ძალოვან სტრუქტურებს, ჯალათებსა და მინისტრებს, არამედ თვით ხალხსაც. ხალხი ხშირად ისევე უფრთხილდება საკუთარ ტყავს, როგორც რომელიმე მინისტრი ან გენერალი თავის ჩინ-მედლებს და უპირატესობებს, მაგრამ ავიწყდება, რომ ასეთ მონობაში სიცოცხლეს ისევე არა აქვს ფასი, როგორც რომელიმე გენერლის ბრწყინვალე ეპოლეტებს, რომელთა აგლეჯვა-დაკერებაც ათასგვარ ინტრიგაზე, სიბინძურესა და ზოგჯერ, რომელიმე დიდგვაროვანი მანდილოსნის ხუმტურზეც კია დამოკიდებული. სწორედ ამ ინერტულობაში, მონობაშია ხალხის ყველაზე დიდი დანაშაული და მისი ფარისევლობაცა და ბრმა მორჩილებაც ზოგჯერ უფრო ზიზღისმომგვრელი და შემამრწუნებელია, ვიდრე ჩიგიდის სახელმწიფოს პოლიციელისა, ვინის უდანაშაულო მამა ციხეში რომ ამოაღპო. ამის შესანიშნავი მაგალითია ლევან ბოლქვაძის მიერ დახატული მეეტლე:

„ერთმა შარახვეტია მეეტლემ, მთელი დამე რომ მისი ღრიალისაგან ქალაქს მოსვენება არ ჰქონდა, ყველას აჯობა, როგორღაც მოახერხა და ცალი ხელი მოიყინა. უბნის პოლიციამ და ექიმბაშმა ფაქტი დაადასტურეს და მეეტლე სათანადო ცნობით სასახლეში მიიყვანეს. აქ მას მეორე ხარისხის სანიმუშო მოქალაქის ორდენი მისცეს და კარგადაც აქეიფეს. ბედნიერებისაგან გაოგნებულმა იმდენი სვა, რომ ბოლოს ყველაფერი დაფქვა სასახლის მსახურებთან: განგებ მდულარე დავისხი ხელზეო. მეფეს მოახსენეს, ყალთაბანდი ყოფილა ის მეეტლეო, მაგრამ ხელმწიფემ ყველას აუკრძალა ამ ამბის გარეთ გატანა. მოლაყბე მეეტლეს მაგრად სცემეს... და დილით ორდენიან-საჩუქრებიანად გაისტუმრეს, თან დაემუქრნენ, როგორც კი ვინმესთან კრინტს დამრავ მდულარეზე, მაშინვე ოქროს გალიაში გიკრავთ თავსო“ (ბოლქვაძე, 2014, გვ. 31).

ამ ერთადერთი, კონკრეტული მაგალითის ჩვენებითაც შესანიშნავად იხატება მეფე ჩიგიდის სახელმწიფოს სულისკვეთება, მისი პოზიციის, მასში არსებული მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს სრული პარალიზება. პროფესორი კომპოტინი სასახლის მსახურთათვის სიკეთის შემსწავლელ კურსებს ხსნის, რომლის აბრაზე ხშირია ამგვარი წარწერა: „სირცხვილ-ნამუსის რესტავრაცია“. იგი ათასგვარი რაციონალიზატორული წინადადებით გამოდის ამ მყიფე, გრძნობადამრეტილი ხალხის წინაშე და მეცადინეობაზე მათ მიტყუებას ამგვარი დაპირებებით ცდილობს: „გარდა ამისა, მოვისმენთ ბუნებრივი ტყის შრიალს და ნამდვილი ჩიტების ჭიკჭიკს პროფესორ კომპოტინის მეთოდით“ (ბოლქვაძე, 2014, გვ. 33).

მსგავსი ორიგინალური დაპირებებით მწერლის ფანტაზია მკითხველის თვალწინ ერთბაშად წარმოაჩენს გაზულუქებული ადამიანების მძიმე სხეულებს, რომლებიც ვეღარ ერევიან საკუთარ კიდურებს და იმდენად გაზანტებულია მათი ტვინის თითოეული უჯრედი, რომ ბუნების წიაღში გასვლას პროფესორის სულისშემხუთველ ოთახებში ჩაჯდომასა და გრამოფონზე ჩაწერილი ჭიკჭიკის მოსმენას ამჯობინებენ.

კეთილი კომპოტინის ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ ისაა, რომ სიკეთის მეთოდური სწავლება გადაწყვიტა და იგი ადამიანური ყოფის ერთ-ერთ შემადგენელ ატრიბუტად წარმოიდგინა. მას დაავიწყდა, რომ თუ სიკეთე თანდაყოლილი, ორგანული არაა კაცის ბუნებისათვის, ასაკში მისი შექმნა შეუძლებელია. ამიტომ ირონიული ელფერი დაჰკრავს ჩიგიდის ქალაქში გაყიდული ნამცხვრების სახელწოდებებს: „სიკეთე“, „მეგობრობა“, ცხელი ღვეზელი – „კეთილი გული“, კარგი ლუდი – „დედის ალერსი“, ღვინო – „ძმა ძმისთვისაო“, „ნამუსის ელექსირი“, უფრო მეტიც, ამ ქალაქში კუბოებსაც კი ასეთი სახელები ჰქვიათ: „კეთილი მგზავრობა“, „მშვენიერი სიბერე“ და ა. შ. ამის შემხედვარე ბუნებრივად ჩნდება პარალელი ჩვენს დღევანდელ რეალობაში ეგზომ თავდადებით რეკლამირებულ მიწიერ სიკეთეებთან. სატელევიზიო რგოლები თუ კლიპები ტონუსაწეული პათოსით წარმოაჩენენ ე. წ. პროდუქციის ღირსებებს, თუმცა მათ მიღმა უმეტესწილად შემკვეთ-მწარმოებლის სარკასტული აფიორა იჭყიტება. იმთავითვე განწირულია პროფესორ კომპოტინის თეორიული ცოდნა, რომლის უმარტივეს, პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც უხალისოდ ასრულებენ „დიდგვაროვანი“ გვამები. მწერალი ირონიულად წარმოაჩენს მათ გაოფლილ, დამფრთხალ სახეებს დარიბისათვის ფულის ჩუქების სწავლების დროს. თავისუფლად ეს „მოსწავლეები“ მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავენ, როცა ვარჯიშის ბოლოს, ხელიდან ხელში გადასული ოქროს მონეტა ისევ მისი პატრონის ჯიბეს უბრუნდება. ლევან ბოლქვაძის სარკაზმი ხშირად რაბლესეული სიტამამითა და სილადით დაჰქრის; სიკეთის შექმნის სურვილით გამოთაყვანებულ სასახლის მსახურებს „სრულსიკეთიანი“ სამსახურიდან გადამდგარი ჯარისკაცი საკუთარ გამოცდილებას უზიარებს: „ეს იმიტომ არის, რომ მე ყოველ დილით შვრიის ფაფას ვჭამ და კვირაში ერთხელ კუჭს ვიწმენდო“.

„ოქროს გალია“ – ეს სიტყვები არაერთგზის მეორდება ზღაპარში და ის, რასაც ლამაზი, ზღაპრული სახელი ჰქვია, სინამდვილეში ჩვეულებრივი ციხეა. ამ გალიას, ე. ი. ციხეს, წესით, ქურდები, ხულიგნები, სადისტები, მოლაღატეები, რეციდივისტები უნდა აფარებდნენ თავს. მშვიდობიანი მოსახლეობისაგან ამ დროებით იზოლირებული ადამიანებისათვის ცხოვრება ბოროტი ვნებების ასპარეზია, ხოლო ციხე – თავშესაფარი. მაგრამ აბა შევიხედოთ ამ ჯურღმულებში, გავეცნოთ მათ

მკვიდრთ და გავიგოთ, რატომ დაიმსახურეს ზეცის მაგიერ ვიწრო სარკმლიდან ძლივს დასანახი ცის ნაგლეჯი და გამხმარი პური...

*„მალე მოვა გაზაფხული,/აივსება შვებით გული,
სხვა რა მინდა, სხვა რა მინდა,
გვერდით მეჯდე, სხვა რა მინდა?!“
(ბოლქვაძე, 2014, გვ. 32)*

საკმარისია ყოვლად უწყინარი, შექეიფიანებული კაცის თითქმის დარდიმანდული წაღიღინება და „ოქროს გალიას“ კიდევ ერთი მსხვერპლი მიემატება. მართალია, ადამიანის დასატუსაღებლად საჭირო არგუმენტებს მაინცდამაინც დიდ პატივს არ სცემენ ჩიგიდის ქვეყანაში, მაგრამ ვინიცობაა საქმემ მოითხოვა, ეს არგუმენტებიც თავზუსაყრელია: ჯერ ერთი, შენ, ვიღაც მოკვდავმა, უსუსურმა ვიგინდარამ, რა იცი, მალე მოვა თუ გვიან გაზაფხული (კალენდარი ხომ მეფის ნებასურვილს ემორჩილება!), მეორე კიდევ – ეს რა ვიწრო კუთხური, ასე ვთქვათ, სენტემენტალური სურვილები გაგჩენია – გვერდით მეჯდე, სხვა რა მინდაო. განა ამ უმნიშვნელო, სულელური სურვილების გამო ცოცხლობ ქვეყნად? ესაა სახელმწიფო ინტერესების სრული იგნორირება. ესაა ქვეყნის ღალატი...

„ოქროს გალია“ კი დღითი დღე ივსება ვინებით, ლასებით, დონებით, ტოპებით, ზენებით, თანებით... რა მხიარული სახელებია, რა სააღლუმო ფერები! – იქნება შეცდეს კიდევ პატარა მკითხველი. დიახ, თითქოს მხიარული და უცნაური სახელებია, მაგრამ ვნახოთ რა სევდიანად უხსნის პატარა ინი ჭაბუკას:

*„ჩვენს ქალაქში ასეთი წესი შემოიღეს – ღარიბებსა და უგვაროებს ასოების სახელები ჰქვიათ... ან, ბან, განები ბედნიერი ხალხია, საკუთარი სახელიცა აქვთ და გაძღომაც შეუძლიათ ყოველდღე. დონ, ენ, ვინ, ზენები დღეგამოშვებით ძღებიან. თან, ინ, კანები სანახევროდ მშივრები ვყრივართ. ჩვენზე უარეს დღეში ლას, მან, ნარები არიან. ყარ, ჩირ, წილებზე ლაპარაკიც არა ღირს. ჰაები ბუზებივით იხოცებოდნენ და ეს ასო სულ ამოიღეს ანბანიდან“
(ბოლქვაძე, 2014, გვ. 17).*

მეფე ჩიგიდის ვერაგულად ჰკვიანი და ანგარიშიანი გონება ზოგჯერ მიზანსაც აღწევს. სასოწარკვეთის უკანასკნელ წამებში თვალთმაქც ჭორს საკენკვივით მიმოაფანტვინებს ქუჩებში: *„მთელს ქალაქში ათასნაირი ხმები დადიოდა: ღარიბებისათვის უფასო საჭმელი იქნებაო, თითო ხელი ტანსაცმელი დაურიგდებათ ყველას, ავადმყოფებს – უფასო წამალი, ბაღებს – ტკბილეული, პატარძლებს – ჭრელი ჩითი და დარაია, ვაჟკაცებს – თითო წყვილი ჩექმა, დედაბრებს – თავშალი და თბილი წინდა, ბერიკაცებს – ცხვრის ქურჯი და ბურნუთიო“* (ბოლქვაძე 2014, გვ. 66).

როგორ მეორდება ყველაფერი. ჰუმანიტარული დახმარების კონვეიერივით, როგორ მოცოცავს გრაფიკით გათვლილი სიკეთე და მის ანაზარა დარჩენილი ჩუმი იმედი. სიკეთის რა ნოსტალგიური ნდომითა და სევდიანი ოპტიმიზმითაა დაწერილი ეს სტრიქონები, ასე ზუსტად რომ უხმობს ასაკისეულ მიჯნებს, ყოფით საზღვრებს, რომლის წინაშეც ადამიანი ზოგჯერ დიდი ხნის ნალოლიავებ იდეალზეც კი უარს ამბობს, უანგარიშოდ თმობს ყველა ოცნებას, ყველა მირაჟს, რადგან ავადმყოფს ზოგჯერ მართლაც არჩენს წამალი და მოხუცის შეციებულ სახსარს – თბილი სამოსი. რა გამაბრუებელი, თავზარდამცემი ნეტარებაა ჩიგიდის თვალთმაქცობაში. რა ზუსტი მისამართი აქვს ამ იდილიურ საკენკს – საწამლავს! რეგლამენტირებული ჰანგების მიღმა კი ცხოვრება ბოლმინაობს. ეს ბოლმის ტალღა არაჩვეულებრივი სიძლიერით აზვირთდება ზღაპრის ფინალში. ქართულ ზღაპარს იშვიათად ახლავს ერთად შეყრილი ხალხის ამგვარი დენადობა, თითქოს კაშხალს გზა მისცეს და ერთბაშად ჩამოიქცა ჯებირები. კიდევ ერთხელ გაგვაოცა ლევან ბოლქვაძის ტალანტმა, როცა ამ ზვირთებში ტინიტოს – ნამდვილი ეშმაკის სახე საბოლოოდ ამოატივტივა. ეშმაკისა, რომელსაც ტრადიციისამებრ ამ ზღაპარშიც რქები ედგა გვირგვინად და ბანჯგვლიან სხეულს კუდი უმშვენებდა. ვინ იფიქრებდა, ეს კუდიანი ტინიტო, ნამდვილ ტაბაკეროს ჩიბუხით რომ აზო-

ლებდა და სიძველის გამო წამდაუწუმ იზომებოდა, ზღაპრის დასასრულს თავისი ემბაკური გამჭრიახი ჭკუით კიდევ ერთხელ მოძებნიდა გამოსავალს. მაგრამ ამ მიგნებას განხორციელება არ ეწერა, თუკი გონება გულსაც არ აუძგერებდა. ისევ ორიგინალური, ისევ მოულოდნელი ილეთი ოსტატის მიერ შემოთავაზებული: ქართულ ზღაპარში ემბაკი სიკეთეს უპირებს გადარჩენას! საუკუნის პარადოქსი! სასახლის ტალანებში დატყვევებულ საათს დაუწყებს ძებნას. მერე დიდ-პატარა ისრებს დაეკიდება, შებოროკილ დროს აუშვებს და სიკეთისათვის აძგერებულ გულს დაუფიქრებლად მიუშვებს ტყვიას. ამჯერად სასიკეთოდ ახდა ტყვიის სიბრმავე. სასახლის მსახურებს (მცველებს) რომ ეგონათ, კაცი მოვკალითო, სწორედ იმ წამში ტინიტოს ემბაკისეულ გარსში საბოლოოდ დაიბადა ნამდვილი ადამიანი. ასე მოაქცია სიკეთემ ყველაზე რთული „მოწაფე“. ...და ყოველივე ეს მაინც ზღაპრის დასასრულია, იმედის კოცონის გამჩაღებელი ფინალი, ამერიკული „ჰეფი ენდი“. ცხოვრება კი, საზოგადოდ, „დულს და გადმოდულს“. სხვადასხვა ქვეყნები, თითქმის მთელი სამყარო, ისევ ომის ცეცხლსა და კვამლშია გახვეული. ისევ ტერორი, შური, კაცისკვლა, ისევ სიმდიდრისა და ძალაუფლებისკენ გააფთრებული ლტოლვა. ისევ აბუჩად აგდებული სიბრძნე, სამართალი, პატიოსნება, ისევ ხელფეხშეკრული თავისუფლება... ზღაპარში მოხვედრილი ბიჭისა არ იყოს, თავად მწერალმა, ლევან ბოლქვაძემაც, ცხოვრების გზაზე მრავალი ხიფათი და განსაცდელი გადაიარა და ისევე ღირსეულად გაუმკლავდა, როგორც მისი ზღაპრის გმირი ჭაბუკა. პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, იგი მთელი არსებით დაეთანხმებოდა თანამედროვე ინგლისელი დრამატურგის, ნობელის პრემიის ლაურიატის ჰაროლდ პინტერის სიტყვებს: *„მწერალი ადვილად მოწყვლადი, თითქმის უმწეო არსებაა, მაგრამ ამაზე არ უნდა ვიწუწუნოთ. მწერალი აკეთებს საკუთარ არჩევანს და მას ვეღარსად გაექცევა“* (პინტერი 2011, გვ. 75).

საბედნიეროდ, ლევან ბოლქვაძემ თავშესაფარი მხატვრულ სიტყვაში იპოვა და ოსტატურადაც „იცრუა“, როცა ე. წ. ზღაპრის წიაღში (ამ ჟანრის წიაღში) რეალური სამყარო შეასახლა. ამით თითქოს დამალა სათქმელი, მაგრამ სინამდვილეში უმძაფრესად გვაგრძნობინა რეპრესიული, უსამართლო რეჟიმის სუსხი და ამავე დროს, თავისუფლებისათვის ბრძოლის გზები და შესაძლებლობები გვიჩვენა. გული მწყდება, რომ რეგლამენტის გამო ბევრ დეტალზე ვეღარ შევჩერდი. ჩემი დაკვირვებებისა და ანალიზის თქვენთვის გაცნობაზე მომიწია უარის თქმა. უპირატესობა ისევ მხატვრული ტექსტის ციტირებებს მივანიჭე, მკითხველისათვის უკეთ რომ დამენახებინა მწერლის მხატვრული ფანტაზიის ფართო დიაპაზონი და სიღრმე, მეგრძნობინებინა ამ ტექსტის გასაოცარი ირონია და იუმორი, გემო, ფერი, სურნელი და არომატი. საოცარი წიგნია „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“ – ერთგვარად სასოწარკვეთილთა „ზეიმი“. XX საუკუნის 50-60-იან წლებში, შიდაემიგრაციაში დაწერილი წიგნი-მეტაფორა, კომუნისტური წყობის წინააღმდეგ მიმართული ეს მართლაც პოლიტიკური პამფლეტი, სამწუხაროდ, უადრესად აქტუალური აღმოჩნდა როგორც ჩვენთვის, ისე დღევანდელი ე. წ. თავისუფალი, დემოკრატიული მსოფლიოსთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბოლქვაძე, ლ. (2014). ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი, თბილისი: „ინტელექტი“.
 ნატროშვილი, თ. (2021). წინათქმა. კოლიმური მოთხრობები. თბილისი: „ინტელექტი“.
 პინტერი, ჰ. (2011). ხელოვნება, ჭეშმარიტება და პოლიტიკა. ლექციები. თბილისი: „ინტელექტი“.
 შალამოვი, ვ. (2021). კოლიმური მოთხრობები. თბილისი: „ინტელექტი“.
 ჯოხაძე, მ. (1988). როცა ტინიტო შენკენაა. „მზერის გადანაცვლება“. თბილისი: „მერანი“.
 ჯოხაძე, მ. (2009). მეფე ჩიგიდის ქვეყანაში. `სამოთხე უსიყვარულოდ“. თბილისი: „ინტელექტი“.

References:

- Bolkvadze, I. (2014). Zghap'arshi mokhvedrili bich'is ambavi. [„The Story of a Boy Who Found Himself in a Fairy Tale“]. Tbilisi: „Int'elekt'i“.
- Jokhadze, M. (1988), Rotsa t'init'o shensk'ena. Mzeris gadanatsvleba. [When Tinito is towards you. "Gaze Shift"]. Tbilisi: „Merani“.
- Jokhadze, M. (2009). Mepe Chigidis kveq'anashi. Samotkhe usiq'varulod. [In the land of King Chigid. „Paradise without love“]. Tbilisi: „Int'elekt'i“.
- Nat'roshvili, T. (2021). Ts'inatkma. K'olimuri motkhroebi. [Preface. Kolyma stories]. [Preface. Kolyma stories.]Tbilisi: „Int'elekt'i“.
- P'int'eri, H. (2011). Khelovneba, Ch'eshmarit'eba da p'olitik'a. Lekciebi. [Art, Truth and Politics. Lectures]. Tbilisi: „Int'elekt'i“.
- Shalamovi, V. (2021). K'olimuri motkhroebi. [Kolyma stories]. Tbilisi: „Inte'lekti“.